# საზოგადოებრივი ადვოკატი

№ 5
30 ივნისი
2010

იურიდიული დახმარების სამსახური – მთელი საქართველოსთვის


## „ყველაზე შემოქმედებითი ბიურო“ – მცხეთა-მთიანეთში



ირინე ბოხაშვილი „თანამშრომლებში გამიმართლა, ისინი პროფესიონალები და წარმატებულები არიან“.

3 გვ.



დარსებიდან დღემდე, მცხეთა-მთიანეთის ბიურომ 29 გასვლითი კონსულტაცია განახორციელა.

4 გვ.

## თქვენი მეგზური

როგორ და სად მივმართოთ იურიდიული დახმარების სამსახურს

4 გვ.

## იურიდიული დახმარების სამსახური

- სისხლის სამართლის საქმეზე უფასო საადვოკატო მომსახურება გადახდის უუნარო მოსახლეობისათვის;
- უფასო იურიდიული კონსულტაციები სამართალწარმოების ნებისმიერ დარგზე - სამოქალაქო და ადმინისტრაციული დავები; საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაციის ფარგლებში იურიდიული დოკუმენტების მომზადება;
- იურიდიული დახმარების ბიუროები მთელი საქართველოს მასშტაბით: თბილისში, თელავში, მცხეთაში, რუსთავში, გორში, ზესტაფონში, ქუთაისში, ზუგდიდში, ფოთში, ბათუმში, ამბროლაურში, ოზურგეთში, ახალციხეში.

# სტუდენტური კონკურსი იურიდიული დახმარების სამსახურის პოპულარიზაციისთვის





**გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გამოცხადებულ კონკურსში - „მართლმსაჯულობის ხელმისაწვდომობა საზოგადოებაში და საქართველოს იურიდიული დახმარების სამსახური“ ოთხი გამარჯვებული სტუდენტი გამოვლინდა. კონკურსი, სადაც რამდენიმე უნივერსიტეტის 20-მდე სტუდენტი იღებდა მონაწილეობას 25 ივნისს, სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში“ დასკვნითი კონფერენციით დასრულდა.**

კონკურსის მიზანი იყო წაეხალისებინა მომავალი იურისტები საქართველოში მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობისა და დაცვის უფლების შესახებ და გაეცნო მათთვის საქართველოში უკვე არსებული იურიდიული დახმარების სამსახურის პრაქტიკა. წარდგენილი ნაშრომები შეაფასა კვალიფიციურმა ჟიურიმ, რომელშიც შედიოდნენ: ზურაბ გუნცაძე ფონდ ALPE -ს თავმჯდომარე, ირაკლი კობიძე იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი, ნათია ჩერქეზიშვილი გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ანალიტიკოსი, ნანა მჭედლიძე პროექტის სამართლებრივი სპეციალისტი.

თუმცა, ვიდრე გამარჯვებულები დასახელდებოდნენ, კონფერენციაზე სტუდენტებმა საკუთარი ნამუშევრების პრეზენტაცია მოაწყვეს, რასაც თან ახლდა დისკუსია და კითხვა-პასუხი. შეხვედრას გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელმძღვანელის მოადგილე ინიტა პაულოვიჩასთან, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი ირაკლი კობიძესთან და სხვა მოწვეულ სტუმრებთან ერთად, თითქმის ყველა კონკურსანტი ესწრებოდა.

კონფერენციის დასასრულს იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა კონკურსში მონაწილე ყველა სტუდენტს სერთიფიკატი გადასცა და გამარჯვებულთა ვინაობაც დაასახელა. პირველი ადგილი და პრიზად - კომპიუტერი დაიმსახურა

**გაგრძელება მე-2 გვ.**

# არასრულწლოვანები და იურიდიული დახმარების სამსახური

***მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში, ისევე, როგორც მთელს მსოფლიოში, არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციას მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა, დღემდე დაუძლეველ პრობლემად რჩება მოზარდთა მიერ ჩადენილი დანაშაული. მიზანი - ქვეყანა არასრულწლოვანი პატიმარის გარეშე, სამწუხაროდ, კვლავ მიუღწეველია. ამის გამო, ყველა განვითარებული სახელმწიფო ცდილობს შექმნას სისტემა, რომელიც დაიცავს ნებსით თუ უნებლიედ დამნაშავედ თუ დანაშაულის მსხვერპლად ქცეულ არასრულწლოვანს, რათა კანონით დაკისრებული სასჯელის მოხდის შემდეგ, იგი კვლავ სრულფასოვან წევრად დაუბრუნდეს საზოგადოებას.***



საქართველოში მოზარდთა უფლებები დაცულია როგორც ქვეყნის კონსტიტუციით, ასევე სხვა ნორმატიული აქტებით - სისხლის სამართლის და საპროცესო კოდექსებით თუ სამოქალაქო კოდექსით და ა.შ. ქართული კანონმდებლობა ზრდასრულის და არასრულწლოვანის მიმართ სისხლის სამართლის წარმოების პროცედურებს აშკარად განასხვავებს. პირველი და მნიშვნელოვანია ის, რომ მოზარდის დაცვა ნებისმიერი დანაშაულის შემთხვევაში სავალდებულოა - სურს თავად დაკავებულს თუ არა. არასრულწლოვანი ეჭვმიტანილი იქნება, ბრალდებული თუ განსასჯელი, საგამოძიებო ორგანოები ვალდებული არიან დაუნიშნონ მას ადვოკატი და ამის შემდეგ დაიწყოს საგამოძიებო მოქმედებები. წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი საგამოძიებო მოქმედებები ჩაითვლება უკანონოდ. იმ შემთხვევაში თუ დაკავებული ან მისი ახლობლები ვერ ახერხებენ კერძო ადვოკატის დაქირავებას, მოზარდის დაცვას სახელმწიფო კისრულობს, სწორედ ამ დროს არასრულწლოვანის საქმეში იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატები ერთვებიან.

იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს ადვოკატის ლაშა კიტიას ინფორმაციით, სხვა საქმეებისგან განსხვავებით, განურჩევლად მატერიალური შესაძლებლობისა და სოციალური ფენისა, მათი სამსახური ნებისმიერი არასრულწლოვანის ინტერესებს იცავს.

„იმის გამო, რომ არასრულწლოვანის დაცვა სავალდებულოა, ძირითადად საგამოძიებო სამსახურები მოგვმართავენ, თუმცა ხშირია შემთხვევა, როდესაც დაკავებული მოზარდის ინტერესებს კერძო ადვოკატები იცავენ, მაგრამ საბოლოოდ მათი ახლობლები

**გაგრძელება მე-3 გვ.**

# სტუდენტური კონკურსი იურიდიული დახმარების სამსახურის პოპულარიზაციისთვის

*პირველი გვერდიდან*

თსუ-ს მაგისტრატურის პირველი კურსის სტუდენტმა ანზორ ხატიაშვილმა (იგი დაჯილდოვებას ვერ დაესწრო იმ მიზეზით, რომ ადვოკატურის საკვალიფიკაციო გამოცდას აბარებდა. სხვათა შორის, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ეს გამოცდაც მან წარმატებით ჩააბარა). მეორე და მესამე ადგილებიც თსუ-ს მაგისტრატურის პირველი კურსის სტუდენტებმა ნინო ხაჭაპურიძემ და სოფო ოდილავაძემ გადაინაწილეს. ჟიურის გადაწყვეტილებით, სპეციალური პრიზი გადაეცა თავისუფალი უნივერსიტეტის ბაკალავრიატის პირველი კურსის სტუდენტს თეონა ფირანიშვილს.

და ბოლოს, როგორც გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის კოორდინატორმა ირინა ცაგარელმა განაცხადა, უახლოეს მომავალში გამოიცემა კრებული, სადაც კონკურსში მონაწილე ყველა სტუდენტის ნამუშევარი შევა. კრებული კი უმაღლეს სასწავლებლებში დარიგდება. სტუდენტების შეფასებით, ეს ფაქტი მათთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

**გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელმძღვანელის მოადგილე ინიტა პაულოვიჩა:**



„იურიდიული დახმარების სამსახურთან ჯერ კიდევ ორი წლის წინ დავიწყეთ თანამშრომლობა, იმ დროიდან როდესაც სამსახური იქმნებოდა და კანონმდებლობაც არ იყო ბოლომდე შემუშავებული. ამჯერად უფრო პრაქტიკულ ეტაპზე ვიმყოფებით. ხელს ვუწყობთ სამსახურს გააფართოვოს საქმიანობა საქართველოს რეგიონებში და ეფექტურად გაავრცელოს ინფორმაცია უფასო იურიდიული დახმარების შესახებ. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ საზოგადოებრივი ადვოკატების მომსახურების შესახებ ინფორმაცია გავრცელდეს არა მარტო თბილისში, არამედ მთლიანად საქართველოში, რათა ამ სამსახურმა ეფექტურად იმუშაოს მთელს ქვეყანაში.

სტუდენტური კონკურსი „მართლმსაჯულობის ხელმისაწვდომობა საზოგადოებაში და საქართველოს იურიდიული დახმარების სამსახური" სწორედ ინფორმაციის გავრცელების ერთ-ერთი ხერხია.

თუმცა სტუდენტებთან მუშაობა სხვა თვალსაზრისითაც არის მნიშვნელოვანი. ამ სისტემას ახალი სისხლი სჭირდება. სჭირდება ადამიანები, რომელთაც ახალი იდეებისა და ხედვის შემუშავება შეუძლიათ, რადგან უკვე ჩამოყალიბებული წარმოდგენებით არ არიან შეზღუდულნი. სტუდენტებთან მუშაობა ახალი იდეების ერთგვარი საცდელი მოედანია.

ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დღევანდელი სტუდენტები მომავალი იურისტები არიან. პროფესიულ კარიერას რომ დაიწყებენ, ყოველდღიურ ტექნიკურ სამუშაოს ვერაფრით დააღწევენ თავს. ამიტომაც სტუდენტობის წლები იმისთვის უნდა გამოიყენონ, რომ მეტი იფიქრონ სისტემის ანალიზზე, მისი განვითარების სტრატეგიაზე. სტუდენტობისას ჩატარებული კვლევა მომავალში აუცილებლად გამოადგებათ. მიგვაჩნია, რომ მსგავსი კონკურსები მათი მომავალი კარიერისთვის მეტად სასარგებლოა.

დღევანდელი კონფერენციის მონაწილეთა ნაწილი მოსამართლე, ადვოკატი ან პროკურორი გახდება. მაგრამ ვფიქრობ, რომ ზოგიერთი მათგანი ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების მიმართულებით იმეშავებს. კონკურსში მიღებული ცოდნა და გამოცდილება მათი სამომავლო საქმიანობისათვის მნიშვნელოვანი იქნება."

**იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი ირაკლი კობიძე**

– ამ კონკურსის მიზანი, პირველ რიგში იყო ის, რომ სტუდენტებს მივეცით თვითშემოქმედების დიდი ასპარეზი, გამოევლინათ საკუთარი კომპეტენცია, რამდენად შესწევთ უნარი მეცნიერულად დაამუშაონ ესოდენ პრობლემური თემა, რომელიც დამახასიათებელია არა მხოლოდ ქართული სამართლებრივი სივრცისთვის, არამედ, ზოგადად, ყველა, განვითარების ეტაპზე მყოფი ქვეყნისთვის. მეორეს მხრივ, მნიშვნელოვანი იყო იმითაც, რომ აღნიშნულ თემებში ძალიან კარგად იყო დასმული ის შენიშვნები თუ კრიტიკული მოსაზრებები, რომელიც შეეხება მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის საკითხს საქართველოში და იურიდიული დახმარების სამსახურის შემდგომ განვითარებას. მინდა გითხრათ, რომ შედეგი არის ძალიან დიდი, ვინაიდან ყველა თემა, რომელიც ჩვენ კომისიის წევრებთან ერთად შევარჩიეთ, იყო თავისებურად მეცნიერული ღირებულების მქონე. ამასთან, სტუდენტებს მივეცით სტიმული, რომ სხვა სამართლებრივ თემებთან ერთად ფოკუსირება გააკეთონ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიც არის იურიდიული დახმარების სამსახურის სტრატეგიული განვითარება და მისი შემდგომი რეფორმირების პროცესი. ეს კონკურსი დაეხმარა სტუდენტებს, რომ უფრო მეტი ეფიქრათ და მოეძიათ ინფორმაცია, თუ რას ნიშნავს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა და მასთან დაკვშირებული დაცვის უფლება, ამასთან, რას ნიშნავს უფასო დაცვის უფლება და სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულების ეფექტურად შესრულება.

თემები იყო ძალიან განსხვავებული და ინფორმაციული, მიმოხილული იყო არა მარტო ქართული, არამედ უცხოური ქვეყნების პრაქტიკა. კარგად იყო გაანალიზებული ევროპული სასამართლოს პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, ეს კონკურსი ძალიან ღირებულია, მით უფრო, რომ დამყარდა კონტაქტები სტუდენტებთან. მათ მივეცით წინადადება, რომ კიდევ უფრო აქტიურად ითანამშრომლონ ჩვენთან. ეს ჩვენი ინსტიტუტის განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

**ზურა გუნცაძე – ფონდ ALPE-ს თავმჯდომარე, ჟიურის თავმჯდოამრე**

– ამგვარი კონკურსები ძალიან კარგი და მნიშვნელოვანი ინიციატივაა, როგორც იურიდიული დახმარების სამსახურისგან, ასევე გაეროს განვითარების პროგრამის მხრიდან. კონკურში საკმაოდ მომზადებული ახალგაზრდები იყვნენ წარმოდგენილნი და ასაკთან შეფარდებით ნამუშევრებიც საკმაოდ კვალიფიციური იყო. ეს სტუდენტები მომავალი იურისტები არიან, რომლებიც, ბუნებრივია, სხვადასხვა პროფესიას აირჩევენ, ზოგი პროკურორი იქნება, ზოგიც მოსამართლე ან ადვოკატი, შესაბამისად, ის ცოდნა და გამოცდილება, რომელსაც დღეს დააგროვებენ, ძალიან გამოადგებათ. ასეთი ღონისძიებებით მათი წახალისება და მოტივირება ხდება, რომ რაც შეიძლება ღრმად შეისწავლონ საერთაშორისო პრაქტიკა და კანონმდებლობა, რომელიც ადამიანის უფლებას და დაცვის სავალდებულოობას შეეხება. ეს კი, ვფიქრობ, კარგი ნაბიჯი იქნება მომავალში ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის.

ეს კონკურსი დაეხმარება არა მარტო მომავალ იურისტებს, არამედ თავად იურიდიული დახმარების სამსახურსაც პრობლემების უკეთ დანახვასა და მათი გადაწყვეტის გზების ძიებაში.

**ანზორ ხატიაშვილი – თსუ მაგისტრატურის პირველი კურსის სტუდენტი**:

კონკურსი მიზნად ისახავდა იურიდიული დახმარების სამსახურის პოპულარიზაციას. აქედან გამომდინარე, სურვილი მქონდა თვითონ მიმეღო უფრო მეტი ცოდნა ამ მიმართულებით და, სიმართლე გითხრათ, არ მეგონა თუ გავიმარჯვებდი.

მუშაობის პროცესში მართლაც ძალიან დიდი ცოდნა მივიღე. თემაში მიმოვიხილე მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა საერთშორისო სტანდარტების და ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, ასევე ვიმსჯელე იმაზე, თუ როგორია დაცვის უფლება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, ამასთან, გავაანალიზე იურიდიული დახმარების სამსახურის მუშაობა.

ეს გამარჯვება ძალიან მნიშვნელოვანია. ამ კონკურსმა დიდი გამოცდილება და ცოდნაც მომცა, მით უმეტეს, რომ მომავალში საადვოკატო საქმიანობას ვაპირებ. სხვათა შორის, ეს ცოდნა უკვე დამეხმარა, რადგან ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა ჩავაბარე და დარწმუნებული ვარ, რომ მომავალშიც გამომადგება.

**ნინო ხაჭაპურიძე თსუ მაგისტრატურის პირველი კურსი**

ჩემს თემაში ძირითადად მიმოხილული იყო დაცვის უფლების მახასიათებლები, მისი ძირითადი გამოვილინება და შეზღუდვის შესაძლებლობა, მაშინ, როდესაც ეს შეიძლება ჩაითვალოს ადამიანის უფლების დარღვევად. ვფიქრობ, ეს კონფერენცია მნიშვნელოვანი იყო იმითაც, რომ ხელი შემიწყო გავცნობოდი უფრო მეტ ლიტერატურას ამ კონკრეტული მიმართულებით. უნივერსიტეტში, მართალია, გვასწავლიან ამ საგნებს, მაგრამ დაცვის უფლებასთან დაკავშირებით უფრო მეტი შევიძინე და, ვფიქრობ, მომავალში დაცვის უფლების პრაქტიკაში განხორციელებისას ძალიან დამეხმარება. ამ კანონების ცოდნით შევძლებ ვიმოქმედო ისე, რომ არ დაირღვეს პირის უფლებები და არც ისე, რომ ჩემი დაცვის უფლებით სახელმწიფოს მიადგეს ზიანი.

**სოფიკო ოდილავაძე – თსუ-ის მაგისტრატურის პირველი კურსი**

კონკურსი იყო ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი, რადგან ძირითადი უფლებები ყოველთვის იქნება აქტუალური. ჩემს თემაში შევეცადე მიმომეხილა როგორც საქრთველოს კონსტიტუციის შესაბამისი ნორმები, მქონდა ასევე საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა და ევროპული კონვეციის და ევროპული პრეცედენტული სამართლის ნორმები. ნამუშევარში ერთ-ერთი ასპექტი იყო იმის დადგენა, რამდენად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობა და საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა ევროპულ კონვეციასა და პრეცედენტულ სამართალს. აგრეთვე წარმოვადგინე ჩემეული ხედვა, როგორია საქართველოს კანონმდებლობა იურიდიული დახმარების სამსახურთან დაკავშირებით. გამოვხატე აზრი თუ როგორ შეიძლება დაიხვეწოს და რა ცვლილებები იქნება უფრო უკეთესი დაცვის უფლების ეფექტურად განხორციელებისთვის. გარდა გამარჯვებისა, ამ კონკურს კარგი შედეგი აქვს ის, რომ ჩვენი ნამუშევრები დაიბეჭდება კრებულის სახით, ეს სტუდენტისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

**თეონა ფირანიშვილი – თავისუფალი უნივერსიტეტის ბაკალავრის პირველი კურსის სტუდენტი**

პირველ რიგში დაინტერესებული ვიყავი იმით, რომ ამ თემაზე მუშაობა საგნის კურსში მეთვლებოდა, თან ძალიან დამაინტერესა ამ თემამ. ლიტერატურის კითხვისას ბევრი ახალი ინფორმაცია მივიღე, რადგან ჯერჯერობით ეს საგნები გავლილი არ გვაქვს. ნამდვილად მოულოდნელი იყო ჩემთვის ის, რომ ჩემმა ნაშრომმა მოწონება დაიმსახურა და ცალკე პრიზი დააწესეს ბაკალავრის ნაშრომისთვის.

**ირაკლი ბურდული – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი**

ასეთი კონკურსების ჩატარება სტუდენტებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. დაახლოებით ორი თვის წინ იყვნენ თსუ-ში იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი ირაკლი კობიძე და გაეროს განვითარების პროგრამის წარმომადგენლები. მაშინ მოეწყო ამ პროგრამისა და კონკურსის პრეზენტაცია. პრეზენტაციაზე ჩვენმა სტუდენტობამ საკმაო ინტერესი გამოამჟღავნა, მაგრამ, რამდენადაც მე ვიცი, პრეზენტაციის შემდეგ სტუდენტებმა ინფორმაცია კურსელებში გაავრცელეს, რასაც დიდი გამოხმაურება მოყვა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კონკურსში თსუ-ის გარდა საქართველოს სხვა უმაღლესი სასწავლებლების იურიდიული ფაკულტეტების სტუდენტებიც მონაწილეობდნენ. ეს კი საკმაოდ საინტერესო გამოწვევა იყო. ანუ კონკურსში მონაწილეობისა და, რა თქმა უნდა, გამარჯვების მოტივაცია ამით უფრო გაიზარდა. საგულისხმოა ის გარემოება, რომ ეს თემები სამეცნიერო, აკადემიური ხასიათის უნდა ყოფილიყო, არ იყო განსაზღვრული მხოლოდ ვიწრო თემატიკა. კონკურსანტებს ძირითადად უნდა დაეწერათ ადამიანის უფლებების დაცვასა და ამ დაცვის უზრუნველყოფაზე.

ძალიან სასიამოვნოა, რომ სამივე გამარჯვებული სტუდენტი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტიდანაა. ეს ბევრ რამეზე მეტყველებს. ჯერ ერთი – ჩვენი სტუდენტები ამართლებენ და აგრძელებენ იმ









კონკურსში გამარჯვებული სტუდენტები

ტრადიციებს, რაც თსუ-ისთვის არის დამახასიათებელი. მეორეც - თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტი ტრადიციულად ტონის მიმცემი და ლიდერი უმაღლესი სასწავლებელია, რომელიც სრულყოფილ და საერთაშორისო სტანდარტების იურიდიულ განათლებას აძლევს ახალგაზრდობას. როგორც აღმოჩნდა პირველი სამი ადგილი ჩვენმა სტუდენტებმა დაიკავეს. ეს ფაქტი იმის კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა, რომ ჩვენი სტუდენტების ნაშრომები ყველაზე აქტუალური, პრაქტიკისა და თეორიის თავისებურებებით, კვლევის კომპონენტებით გაჯერებული ნაშრომები იყო. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენები ვერ გაიმარჯვებდნენ. ეს ჩვენთვის განსაკუთრებულად საამაყო და სასიხარულოა.



ასეთი კონკურსები აუცილებელია სტუდენტებისთვის. იმისათვის, რომ სუდენტებმა თსუ-ის სტიპენდიები მოიპოვონ, მათ სჭირდებათ გარკვეული აქტივობები. კონკურსებში მონაწილეობა და მით, უფრო - გამარჯვება სწორედ ასეთი აქტივობებს წარმოადგენს და ეს არის ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტი და ნაბიჯი სტიპენდიის მოსაპოვებლად. მეორეც, მსგავსი კონკურსები სტუდენტებში სამეცნიერო მუშაობის თვისებების ჩამოყალიბებასა და განვითარებას უწყობს ხელს. ამასთან, კონკურსში გამარჯვება მასტიმულირებელი ფაქტორია იმისათვის, რომ სტუდენტები შეეჩვიონ და გაყვნენ სამეცნიერო მუშაობას. თუ ამას საფუძველი სტუდენტობის პერიოდში არ ჩავუყარეთ, სხვანაირად მეცნიერებას ვერ გავხდით მიმზიდველს. ახალგაზრდა აკადემიურ წერას სტუდენტობიდან ეჩვევა. შეუძლებელია სტუდენტმა დაამთავროს უმაღლესი და მერე გაეხსნას ტვინი და დაწეროს კარგი ნაშრომი. მეცნიერის ჩამოყალიბება ხდება თანდათან, დროის განმავლობაში შეძენილ-ჩამოყალიბებული ცოდნითა და უნარ-ჩვევებით. პრაქტიკოს და თეორეტიკოს იურისტს მოეთხოვება, რომ გარკვეული იურიდიული პრობლემა საკუთარი კუთხით დაინახოს, აღმოაჩინოს და ლოგიკურ შედეგამდე მივიდეს; რაღაც პრობლემა დასვას და შემდეგ ამოხსნას იგი. ამავე დროს, ნუ დავივიწყებთ პრიზებს, რომელსაც საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს.ჩვენ უნივერსიტეტში გვსურს მსგავსი კონკურსების ჩატარება. ვაწყობთ კიდეც სტუდენტურ კონფერენციებს, მაგრამ მწირი ფინანსების გამო, ჩვენი ფაკულტეტი ვერ ახერხებს გამარჯვებულ სტუდენტთა წახალისებას. ამიტომ განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი გაეროს განვითარების პროგრამას. იმედი მაქვს, კვლავ მიეცემა თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს თავის გამოჩენისა და დედა უნივერსიტეტის საქვეყნოდ წარმოჩენის საშუალება.

**ნათია ხანთაძე - თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის სკოლის კოორდინატორი**



ამ სახის კონკურსები სტუდენტებისთვის მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ საუნივერსიტეტო ცხოვრების გარდა სტუდენტებს საშუალება ეძლევათ სხვა უნივერსიტეტის სტუდენტებთან ერთად დაამუშაონ კონკრეტული პრობლემა. დაცვის უფლება საქართველოს განვითარებად სამართლებრივ სისტემაში ძალიან მნიშვნელოვანია. ამიტომ, სტუდენტებთან შეხვედრა, აზრის გაცვლა და კონკრეტული პრობლემის უფრო ღრმად დამუშავება ძალიან სასარგებლოა. თავისუფალი უნივერსიტეტისთვის ეს კონკურსი მნიშვნელოვანი იყო იმიტომაც, რომ ჩვენი სამართლის სკოლა შარშან შეიქმნა და, აქედან გამომდინარე, მხოლოდ პირველკურსელები გვყავს. მიუხედავად იმისა, რომ ამ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ძირითადად მაგისტრატურის სტუდენტები, ჩვენი სტუდენტის თეონა ფირანიშვილის ნამუშევარი კომისიისთვის იმდენად საინტერესო აღმოჩნდა, რომ მას, როგორც ბაკალავრიატის პირველ კურსელს, გადაეცა სპეციალური პრიზი. რა თქმა უნდა, ეს ძალიან დიდი წარმატებაა, როგორც თეონასთვის, ასევე ჩვენი უნივერსიტეტისთვის.

# არასრულწლოვანები და იურიდიული დახმარების სამსახური

*პირველი გვერდიდან*

მაინც საზოგადოებრივ ადვოკატებს მოგვმართავენ. ეს გარკვეული ნდობით აიხსნება. ჩვენც არასრულწლოვანის ინტერესს ვიცავთ სისხლის სამართლის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე, დაწყებული წინასწარი გამოძიებით - სასამართლოს სამივე ინსტანციით დამთავრებული. თუ ამის სურვილი თავად დაკავებულს ექნება“, - ამბობს საზოგადოებრივი ადვოკატი.

ის, რომ საზოგადოებრივი ადვოკატების ჩართულობა არასრულწლოვანთა საქმეში მართლაც აქტუალურია, აშკარად ჩანს სტატისტიკიდანაც. 2008 წელს იურიდიული დახმარების სამსახურის იურისტებმა დახმარება გაუწიეს 486 არასრულწლოვანს. აქედან თბილისში 169-ს, მცხეთა-თიანეთში 16-ს, კახეთში 39-ს, ქვემო ქართლში 60-ს, შიდა ქართლში 34-ს, იმერეთი-ზესტაფონში 12-ს, იმერეთი-ქუთაისში 76-ს, სამეგრელო-ზუგდიდში 18-ს, სამეგრელო-ფოთში 18-ს, აჭარაში 44-ს.

2009 წელს ეს რიცხვი 604-მდე გაიზარდა. ამ პერიოდში თბილისში საზოგადოებრივმა ადვოკატებმა დაიცვეს 141 მოზარდის ინტერესი. მცხეთა-მთიანეთში 30-ის, კახეთში 55, ქვემო ქართლში - 62, შიდა ქართლში - 47, იმერეთი-ზესტაფონში - 35, იმერეთი-ქუთაისში 98, სამეგრელო-ზუგდიდში 13, სამეგრელო-ფოთში 15, აჭარაში 108-ის. ხოლო 2010 წლის მაისამდე იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატები ჩარეთვნენ 311 მოზარდის საქმეში. აქედან თბილისში 60-ის. მცხეთა-თიანეთი - 3, კახეთი - 21. ქვემო ქართლი - 35, შიდა ქართლი - 16, სამცხე-ჯავახეთი - 40, იმერეთი-ზესტაფონი - 20, იმერეთი-ქუთაისი - 51, სამეგრელო-ზუგდიდი - 11, სამეგრელო-ფოთი - 8, აჭარა - 46.

კანონმდებლობით, არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაულის პროცესს ახორციელებენ მხოლოდ ის მოსამართლეები, პროკურორები და გამომძიებლები, რომლებმაც სპეციალური მომზადების კურსი გაიარეს პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში. მართალია, ამგვარი მომზადების კურსის გავლა ადვოკატებისთვის სავალდებულო არ არის, მაგრამ როგორც ლაშა კიტია ირწმუნება, არასრულწლოვანებთან ურთიერთობა ნამდვილად სპეციფიურია და გარკვეულ მზადყოფნას საჭიროებს.

„მოზარდს, რომლის მიმართაც მიმდინარეობს სისხლისსამართლებრივი დევნა, სპეციფიკური სჭირდება. ადვოკატმა უნდა იცოდეს, როგორ მიუდგეს დაკავებულ არასრულწლოვანს, როგორ მოხდეს პირველი კონტაქტი, დაკითხვა, ხშირად საჭიროა ყურადღების გადატანა იმ თემებიდან, რომელზეც მას არ სურს საუბარი და ასე შემდეგ,“ - გვიხსნის ლაშა კიტია.

გარდა დანაშაულში ეჭვმიტანილი თუ ბრალდებული არასრულწლოვანისა, საქართველოს კანონმდებლობა იცავს იმ მოზარდის ინტერესს, რომელიც თავად გახდა დანაშაულის მსხვერპლი. დაზარალებულ არასრულწლოვანთან ურთიერთობაც ისევე მოითხოვს იურისტისგან სპეციალურ მიდგომას და უნარ-ჩვევების ცოდნას, როგორც ბრალდებულთან ურთიერთობა.

სწორედ, ამ მიზნით, იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატები სისტემატურად გადიან შესაბამის სემინარებს და სწავლებას.

„საქართველოში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის ხელშეწყობის პროექტის“ ფარგლებში ჩატარებული სემინარებისას, რომელიც გაეროს ბავშვთა ფონდის (ЮНИСЕФ) და ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა, საზოგადოებრივმა ადვოკატებმა ინფორმაცია მიიღეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მარეგულირებელი შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო ნორმების შესახებ. ეტაპობრივად გამართული სწავლების ფარგლებში ადვოკატებმა განიხილეს შემდეგი საკითხები: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული ძირითადი საერთაშორისო სტანდარტები და კანონმდებლობა; ბავშვის დაკავების პროცედურები; დამნაშავეების, დაზარალებულებისა და მოწმეების დაკითხვა; საგამოძიებო და სასამართლო პროცედურები, ადვოკატისა და არასრულწლოვანი კლიენტის ურთიერთობები, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთან კონტაქტი, პირველი გასაუბრება, ურთიერთობა ადვოკატსა და არასრულწლოვანი კლიენტის მშობლებს შორის, არასრულწლოვანი ეჭვმიტანილისა და დაზარალებულის დაკითხვა, ასევე - დაცვის სტრატეგია და გასაჩივრებისათვის მომზადება.

ის, რომ დანაშაულამდე მისულ მოზარდს სახელმწიფოს და საზოგადოებისგან დახმარება ესაჭიროება, ამაზე არავინ დავობს, მაგრამ დღეს უდიდესი ყურადღებაა გადატანილი არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციაზე. ამ პროცესში ჩართულია იურიდიული დახმარების სამსახურიც, რომლის წარმომადგენლებიც სისტემატურად ატარებენ გასვლით სემინარებს სკოლებში და მოზარდებს იმ თემებზე ესაუბრებიან, რომელიც მათ დანაშაულის გაცნობიერებასა და მისგან თავის არიდებაში დაეხმარება.

იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი ირაკლი კობიძე და ამ სამსახურის ადვოკატები სისტემატურად ესაუბრებიან სხვადასხვა საჯარო სკოლის უფროსკლასელ მოსწავლეებს მართლმსაჯულებასა და ადამიანის უფლებებზე, დანაშაულის, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის, მართლმსაჯულების სისტემის, დაკავებული ეჭვმიტანილისა და მოწმის უფლებების, ასევე უდანაშაულობის პრეზუმფციის თემებზე.

იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს ადვოკატის ლაშა კიტიას თქმით, მოზარდები განსაკუთრებით აინტერესებთ ნარკოდანაშაულების, ცივი იარაღის შეძენა-ტარების და სრულწლოვანებამდე მიღწევამდე ქორწინების თემები.



გარდა ამისა, იურიდიული დახმარების სამსახურის ყურადღების მიღმა არც არასრულწლოვანი პრობაციონერები რჩებიან. პრობაციის ეროვნული სააგენტოსა და იურიდიული დახმარების სამსახურის ერთობლივი ინციატივის ფარგლებში ამ კატეგორიის მოზარდებისათვის ორი სემინარი ჩატარდა.

იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლები ესაუბრებიან თავისუფლებაში მყოფ მსჯავრდებულებს არასრულწლოვანი პრობაციონერების უფლებამოვალეობების, დანაშაულის ტიპების, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის და უფასო იურიდიული დახმარების მიღების შესაძლებლობების შესახებ.

**რეგიონი**

# „ყველაზე შემოქმედებითი ბიურო“ — მცხეთა-მთიანეთში

**„დიდ მადლობას ვუხდი თქვენს სამსახურს. თქვენი დახმარებით შევძელი ჩემთვის შეუძლებელი დოკუმენტების შედგენა და ჩემთვის შეუძლებელი პრობლემის გადაწყვეტა. უდიდესი მადლობა ყურადღებისთვის, ადამიანური დახმარებისთვის...“**

**“ბიუროს ყველა თანამშრომელს გიხდით დიდ მადლობას არაერთხელ გაწეული თანადგომისთვის, თქვენი პროფესიონალიზმისა და უბრალოდ, კეთილგანწყობისთვის...“**

**“ხვალ ჩემი ოჯახის წევრის სასამართლო პროცესია. წინასწარ ძნელი სათქმელია, როგორ დასრულდება სასამართლო, თუმცა, დარწმუნებული ვარ, თქვენი თანამშრომლების პროფესიისადმი ერთგულება, პატიოსნება და წესიერება დამეხმარება მე და ჩემს ოჯახს, ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდეს...“**

**“მადლობა თქვენ, რომ არსებობთ და ჩემნაირ შეჭირვებულ ადამიანებს ერთგულად ემსახურებით, ეხმარებით, იმედს უჩენთ, იპოვონ სამართალი...“ - მსგავსი შინაარსის ჩანაწერებს უხვად ნახავთ ჩანაწერების წიგნაკში, რომელიც მცხეთა-მთიანეთის იურიდიული დახმარების ბიუროს ოფისის მისაღებში დევს და რომელსაც მადლიერი კლიენტები სიხარულით ავსებენ.**



**ირინე ბოხაშვილი „თანამშრომლებში გამიმართლა, ისინი პროფესიონალები და წარმატებულები არიან**

მცხეთა-მთიანეთის იურიდიული დახმარების ბიურო 2007 წლის 13 ნოემბერს გაიხსნა და დღემდე უფასო დახმარება გაუწია 1327 მოქალაქეს. ამ ბიუროს თანამშრომლებმა სატელეფონო კონსულტაცია გაუწიეს 97 მოქალაქეს. მათ მიერ მომზადდა 152 სამართლებრივი დოკუმენტი.

“ყველაზე შემოქმედებითი ბიურო“ - ასე ხასიათდება მცხეთა-მთიანეთის იურიდიული დახმარების ბიუროს საქმიანობა.

582 სოფელი, 2 ქალაქი და 7 დაბა - ეს ის არეალია, რომლის მოსახლეობასაც მცხეთა-მთიანეთის ბიუროს თანამშრომელბი ხალისითა და მონდომებით უფასო იურიდიულ დახმარებას უწევენ.

ბიუროში სულ 7 იურისტი მუშაობს: ბიუროს უფროსი, ოთხი ადვიკატი, ერთი კონსულტანტი და ერთი სპეციალისტი. პატარა და გარემონტებულ ოფისში, რომელიც სულ სამ ოთახს მოიცავს, ბიუროს თანამშრომლები მოქალაქეებს მათი პრობლემის შესაბამის დახმარებას უწევენ.

დახმარების გაწევისთვის მცხეთა-მთიანეთის ბიუროში მისულ მოქალაქეებს შეუძლიათ გაეცნონ ბუკლეტებს, რომლებიც ამა თუ იმ კონკრეტულ პრობლემასთან დაკავშირებით გზამკვლევის ფუნქცის ასრულებს. ბიუროში მისული კლიენტებისთვის კონსულ-

*გაგრძელება მე-4 გვ.*

## თქვენი მეგზური

*იურიდიული დახმარების სამსახურის მიმართვის წესები:*

* სისხლის სამართლის საქმეზე საზოგადოებრივი ადვოკატის დანიშვნის თხოვნით იურიდიული დახმარების სამსახურს შეგიძლიათ მიმართოთ პირადად, ახლო ნათესავის ან კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით.

*ვინ შეიძლება ისარგებლოს საზოგადოებრივი ადვოკატის მომსახურებით?*

* კანონით დადგენილი წესით იძულებით დაცვას დაქვემდებარებულმა ყველა დაკავებულმა, ეჭვმიტანილმა, ბრალდებულმა, მსჯავრდებულმა და დაზარალებულმა.

* იმ დაკავებულმა, ეჭვმიტანილმა, ბრალდებულმა, მსჯავრდებულმა და დაზარალებულმა, რომელიც ამავე დროს „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული ოჯახის წევრია და მისი სარეიტინგო ქულა შეადგენს: 1) 70 ათასს ან ნაკლებს; 2) 100 ათასს და ნაკლებს, და მიეკუთვნება ქვემოთ ჩამოთვლითაგან ერთ-ერთ კატეგორიას:

ა) იმ მრავალშვილიანი ოჯახის წევრი, რომელსაც ჰყავს 3 ან მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი;

ბ) ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი;

გ) 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირი;

დ) მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე სრულწლოვანი პირი;

ე) მკვეთრად, მნიშვნელოვანად ან ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირი, თუ შესაძლებლობის შეზღუდვა მიმდინარეობს ბავშვობიდან;

ვ) 18 წლამდე ასაკის დედ-მამით ობოლი ბავშვი;

ზ) რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო აგრესიის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირი.

* განსაკუთრებულ შემთხვევებში, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორს უფლება აქვს თანხმობა განაცხადოს საზოგადოებრივი ადვოკატის დანიშვნაზე იმ პირისათვის, რომელიც არ აკმაყოფილებს ზემოთაღნიშნულ კრიტერიუმებს, მაგრამ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაშია და ვერ გაწევს საადვოკატო მომსახურებასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

*უფასო იურიდიული კონსულტაცია:*

იურიდიული დახმარების ბიუროებსა და საკონსულტაციო ცენტრებში უფასო იურიდიული კონსულტაციის მიღება შეუძლია საქართველოში მცხოვრებ ნებისმიერ პირს ნებისმიერ სამართლებრივ საკითხზე, როგორც სისხლის სამართლაზე, ასევე სამოქალაქო და ადმინისტრაციული დავებისას. კონსულტანტები მოქალაქეებს მისვლის დღესვე მიიღებენ.

საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაციის ფარგლებში შესაძლებელია იურიდიული დოკუმენტების მომზადება.

იურიდიული დახმარების სამსახურის მისამართებია:
თბილისის იურიდიული დახმარების ბიურო
მის: სარაჯიშვილის გამზ. №1, მე-3 სართ
ტელ: 8(32) 623324;

კახეთის იურიდიული დახმარების ბიურო
მის: თელავი, ერეკლე II გამზ. №8
ტელ: 8 (250) 71538;

მცხეთა-მთიანეთის იურიდიული დახმარების ბიურო
მის: მცხეთა, დ. აღმაშენებლის ქ. №51
ტელ: 8(32) 513873;

ქვემო ქართლის იურიდიული დახმარების ბიურო
მის: რუსთავი, ბათუმის ქ. №17,
ტელ: +995(24) 15-77-22

შიდა ქართლის იურიდიული დახმარების ბიურო
მის.: გორი, სამეფოს ქ. №54
ტელ: 8 (270) 79556 8(95) 901704

იმერეთის-ზესტაფონის იურიდიული დახმარების ბიუროს
მის: ზესტაფონი, წერეთლის ქ. №11
ტელ: 8 (292) 40250;

იმერეთის-ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიურო
მის: სადგურის მოედანი №3
ტელ: 8 (231) 5-34-11

სამეგრელოს-ზუგდიდის იურიდიული დახმარების ბიურო
მის: ზუგდიდი, კოსტავას ქ. №24
ტელ: 8 (215) 53472;

სამეგრელოს-ფოთის იურიდიული დახმარების ბიურო
მის: ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. №37
ტელ: 8 (293) 43332;

აჭარის იურიდიული დახმარების ბიურო
მის.: ბათუმი, წერეთლის შესახვევი №6
ტელ: 8 (88 222) 31799;

სამცხე-ჯავახეთის იურიდიული დახმარების ბიურო
მის: ახალციხე, თაბუკაშვილის №17
ტელ: 891 115571

ამბროლაურის საკონსულტაციო ცენტრი
მის: ამბროლაური, აღმაშენებლის ქ. №24
ტელ: 895 308847

ოზურგეთის საკონსულტაციო ცენტრი
მის.: ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1, მე-3 სარ.
ტელ: 8(296) 73824

იურიდიული დახმარების სამსახური
რუსთაველის №30, თბილისი 0146, საქართველო
ტელ: (+995 32) 988493; 932090
ფაქსი: (+995 32) 988493
info@legalaid.ge; www.legalaid.ge

რეგიონი

# „ყველაზე შემოქმედებითი ბიურო“ – მცხეთა-მთიანეთში

*მესამე გვერდიდან*









ტანტთან გასასაუბრებლად ცალკე გამოყოფილი ორი შემინული პატარა ოთახიც არის, სადაც მოქალაქეს კონსულტანტთან კონფიდენციალური გასაუბრების საშუალება ეძლევა.

### მონაცემები მცხეთა-მთიანეთის ბიუროს საქმიანობის შესახებ

როგორც ბიუროს თანამშრომლები განმარტავენ, რეგიონი, რომლის მოსახლეობასთანაც მათ აქვთ ურთიერთობა, სოციალურად შეჭირვებულია და შესაბამისად, ბიუროს იურისტებს, ხშირ შემთხვევაში, სწორედ საყოფაცხოვრებო ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულში ეჭვმიტანილთა ან ამ დანაშაულით დაზარალებულთა უფლებების დაცვა უწევთ.

ოჯახური პრობლემები, სამოქალაქო ადმინისტრაციული დავები, მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებული პრობლემები - ეს ის საკითხებია, რომლებზეც კონსულტაციებს რეგიონის მოსახლეობა ბიუროს იურისტებისგან უფასოდ იღებს. ბიუროს თანამშრომლები შეჭირვებულ კლიენტებს მათთვის საჭირო სამართლებრივი დოკუმენტაციის მოძიებასა და მომზადებაში უსასყიდლოდ ეხმარებიან.

დაარსებიდან დღემდე, მცხეთა-მთიანეთის ბიურომ 29 გასვლითი კონსულტაცია განახორციელა. როგორც ბიუროს ხელმძღვანელი ირინე ბოხაშვილი განმარტავს, კონსულტაციების მუშაობის მეთოდი მოსახლეობასთან ეგრეთ წოდებულ საველე სამუშაოს წარმოადგენდა.

გასვლით კონსულტაციაში მონაწილე ბიუროს თანამშრომლები სამიზნე ჯგუფის ყოველ წარმომადგენელს თავდაპირველად აცნობდნენ იურიდიული დახმარების სამსახურის საქმიანობის სპეციფიკას. ავრცელებდნენ სამსახურის მიერ მომზადებულ საინფორმაციო ბროშურებს და, საჭიროების შემთხვევაში, მოქალაქე მათგან იღებდა სამართლებრივ დახმარებას კონსულტაციის სახით.

“მცხეთა-მთიანეთის იურიდიული დახმარების ბიურო აქტიურად თანამშრომლობს მცხეთის საჯარო სკოლებთან, სამიზნე ჯგუფად ძირითადად აღებულია საჯარო სკოლის მეცხრე კლასი. მათთვის ჩატარდა არაერთი ლექცია-სემინარი, მოეწყო სამი გასვლითი ღონისძიება მცხეთის რაიონულ სასამართლოში, სადაც მოსწავლეები გაეცნენ მართლმსაჯულების განხორციელების პრინციპებს. ბიუროს თანამშრომლებმა მოსწავლეებისთვის ჩაატარეს გასართობი ვიქტორინა მათთვის უკვე ცნობილ თემებზე,“ - გვიამბობს მცხეთა-მთიანეთის ბიუროს უფროსი ირინე ბოხაშვილი.

როგორც გაირკვა, ბიურომ მცხეთა-მთიანეთის სკოლებში და ბავშვთა სახლებში სერიული გასვლითი ლექცია-სემინარები ჩაატარა. ბავშვთა უფლებების კონვენცია, არასრულწლოვანათა მართლმსაჯულების საკითხები, ნარკოდანაშაული, პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული - ასეთი იყო ლექცია-სემინარების თემები, რომლებსაც 14 წელს მიღწეული მოზარდები გაეცნენ. გარდა ამისა, ბიურომ საგურამოს ბავშვთა სახლის აღსაზრდელებისთვის საქველმოქმედო აქციაც გამართა.

“ნარკოტიკი კლავს“ - ასე ერქვა აქციას, რომელიც ირინე ბოხაშვილმა და მისმა თანამშრომლებმა მცხეთის სკვერში 25 ივნისს გამართეს და ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეს გამოეხმაურნენ. აქციის ფარგლებში, საზოგადოებრივმა ადვოკატებმა მცხეთის ცენტრალურ სკვერში თემატური პოსტერები გამოაკრეს და ნარკომანიასთან დაკავშირებული სამართლებრივი პასუხისმგებლობის თემაზე მომზადებული ბუკლეტები დაარიგეს. გაიმართა ფილმის „სუბორდინაცია“ ჩვენება. გარდა ამისა, პლაკატზე, წარწერით „ნარკოტიკი კლავს“, მსურველებს ამ საკითხთან მიმართებაში საკუთარი პოზიციის დაფიქსირება შეეძლოთ.

მცხეთა-მთიანეთის იურიდიული დახმარების ბიურომ დევნილებთან 5 გასვლითი კონსულტაცია ჩაატარა. გარდა იმისა, რომ რუსეთის აგრესიის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირებისთვის ბიუროს თანამშრომლებმა ადგილზე გასცეს ინფორმაცია იურიდიული დახმარების სამსახურის არსებობისა და მისი საქმიანობის შესახებ, დევნილებს კონსულტაციებიც გაუწიეს მათთვის საინტერესო სხვადასხვა სამართლებრივ საკითხებზე.

- ყოველი ჩატარებული ღონისძიების შემდეგ, დევნილები აქტიურად მოგვმართავენ სატელეფონო და პირადი კონსულტაციის მისაღებად, დღეისთვის სულ 64 დევნილს გაეწია ბიუროში დახმარება, მათ შორის 3 სატელეფონო და 61 - პირადი. მომზადდა 17 სამართლებრივი დოკუმენტი, მათ შორის 2 სასარჩელო განცხადება, 5 განცხადება უდაო წარმოების შესახებ (ყველა მათგანი დაკმაყოფილდა), 4 განცხადება დევნილთა კომპენსაციის მიღების თაობაზე (შესაბამის დოკუმენტაციასთან ერთად გადაიგზავნა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში), 2 განცხადება გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე, 1 პირობითი მსჯავრის ვადაზე ადრე მოხსნასთან დაკავშირებით და 1 მსჯავრდებულის შეწყალების თაობაზე“, - განმარტავს ბიუროს უფროსი ირინე ბოხაშვილი.

### „თანამშრომლებში გამიმართლა, ისინი პროფესიონალები და წარმატებულები არიან“

მცხეთა-მთიანეთის იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსი ირინე ბოხაშვილი სამსახურში თბილისიდან დადის. როგორც თავად ამბობს, თავს კომფორტულად გრძნობს და უხარია ისეთ პატიოსან, შრომისმოყვარე და პროფესიონალებთან მუშაობა, როგორებიც მისი თანამშრომლები არიან.

- შეკრული გუნდი ვართ. საკმაოდ მცირე რესურსით, ბევრ საქმეს ვაკეთებთ, უყურადღებოდ არ ვტოვებთ ჩვენთან მოსულ არც ერთ მოქალაქეს და მათ პრობლემებს ბოლომდე მივყვებით.

მართლაც გამიმართლა თანამშრომლებში. ჩემი ამ სამსახურში მოსვლის მიზანი პრაქტიკული საქმიანობით დაინტერესება და თეორიული ცოდნის გაღრმავება იყო. სწორედ ამ სამსახურმა მომცა შესაძლებლობა, ჩემი თეორიული ცოდნა და გამოცდილება პრაქტიკაში გამომეყენებინა, იურიდიული დახმარების ბიურომ საკუთარი თავის განვითარების დიდი შესაძლებლობა მომცა“, - ამბობს ირინე ბოხაშვილი, რომელსაც სამართლებრივ საკითხებზე მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. დამთავრებული აქვს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, ასპირანტურა სისხლის სამართლის პროცესის სპეციალიზაციით; აქვს იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის დიპლომი. აქვს რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომი. არის ასოცირებული პროფესორი, დოცენტი.

მცხეთა-მთიანეთის იურიდიული დახმარების ბიუროს თანამშრომლები წარმატებით დასრულებული საქმეებით გამოირჩევიან.

კონსულტანტის ცირა გამცემლიძის მიერ გაწეული სამართლებრივი დახმარებისა და შედგენილი დოკუმენტების მეშვეობითვე, მარტოხელა დედამ პროცესი მოიგო. ცირა გამცემლიძის მიერ მოქალაქე მანანა ა.-სთვის შედგენილი ადმინისტრაციული სარჩელი მცხეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით სრულად დაკმაყოფილდა. მარტოხელა დედა გათავისუფლდა საშემოსავლო გადასახადისგან და სარგებელის სახით მიიღებს უსაფუძვლოდ გადახდილ თანხას 727.95 ლარის ოდენობით.

ბიუროს ადვოკატის ალუდა ბუჩუკურის მიერ მომზადებული და წარდგენილი დოკუმეტებისა და შერჩეული დაცვის ტაქტიკის საფუძველზე, ბრალდებულებს შეეცვალათ წარდგენილი ბრალდების კვალიფიკაცია და გათავისუფლდნენ.

ბრალდებულები გ.მ და ნ.ი სამართალდამცველებმა ქურდობის მცდელობის ბრალდებით დააკავეს. ადვოკატის მიერ წარდგენილი დოკუმენტებისა და მათ მიერ მიცემული ჩვენების საფუძველზე, მათ წარედგინათ ახალი ბრალდება, ნივთის გაუფრთხილებლობით დაზიანებისათვის. დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის სიმცირის გამო ისინი დაუყოვნებლივ გათავისუფლდნენ.

Published with financial support of the United Nations Development Programme (UNDP)
The views expressed in this publication are those of the authors and do not necessarily represent those of the United Nations or UNDP.
გამოცემულია გაეროს განვითარების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით.
წინამდებარე გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და არ ასახავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ან გაეროს განვითარების პროგრამის თვალსაზრისს.

იურიდიული დახმარების სამსახური

გამოცემა მომზადებულია მედიის განვითარების ფონდის მიერ